სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დონ „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან. 50 კაპ.

კვირას, 10 ოქტომბერს, 1899 წ., დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, მოხდება წლიური, საზოგადო კრება ქართული დრამატიული საზოგადოებისა.
განსახილველია საგნები:
1, წლიური ანგარიში გამგეობისა.
2, საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა დამდეგი წლისათვის.
3, სარევიზიო კომისიის წევრთ არჩევანი.
4, საზოგადოების ახალ წევრთ არჩევანი. (5—1)

!!მიაქციეთ ყურადღება!!
ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზედ.
იშემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიოზით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანეთზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.
ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნობათებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში
!!მიაქციეთ ყურადღება!! (100—76)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონაშთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—79) ო. კორონა.

„უნივერსალნი მაღაზია"
იხილე განცხადება უკანასკნელ გვერდზე.

ქ. ტფილისში
ექიმი
ნიკო თომას ძე
ერისთავი
შინაგანის და ნერვების ავად. მყოფებს ყოველ დღე დილის 11—12 1/2-მდე და საღამოს 7—8 საათზე მიიღებს.
მადერის ქუჩა, მამულოვის სახლი. (10—6)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა სენით ავადმყოფნი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. მერაბი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ქობანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** ქართული დრამ. საზოგადოების წლიური კრება. როგორც განცხადებიდანა სჩანს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას წლიური კრება ამ საზოგადოებისა დაუნიშნავს დამდეგი თვისათვის. კრება მოხდება ბანკის დარბაზში და განიხილავს: 1) წლიურს ანგარიშს გამგეობისას, 2) საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვას დამდეგის წლისათვის, 3) სარევიზიო წევრთა არჩევნები და 4) საზოგადოების ახალ წევრთა არჩევნები.

*** მინისტრის ჩამობრძანება ტფილისში. გუშინ, 27 ამ თვეს მეურნეობის და მიწათ-მოქმედების მინისტრი ა. ი. ერმოლოვი ჩამობრძანდა ტფილისში.

*** ქალაქის გამგეობის გარდაწყვეტილება. ქალაქის გამგეობამ საჭიროთ დაინახა, ქალაქის სადეზინფექციო კამერას კიდევ მოუმატოს ერთი ფერშალი სამის თვით 1 ღვინობისთვიდან.

*** ახალი განკარგულება. მთავრობის განკარგულებით თრიალეთის საბოქაულო გამგეობა უნდა გადატანილ იქმნეს სოფ. ბაშკიჩეტიდან სოფ. ალექსანდრფელდში.

*** ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქ 30 ამ თვეს აკურთხებენ ახალ შენობას იქაური ქალების უფასო სასწავლებლისას.

*** ღამის კიდევ უბედურება ყარსის რკინის გზაზე. 24 სექტემბერს, ღამის კიდევ უბედურება არ დატრიალდა ყარსის რკინის გზაზე. მგზავრთა მატარებელი № 2 მიდიოდა ტფილისისკენ და როცა მოახლოვდა სანაინის სადგურს, გზის წახდენის გამო გაჩერდა. ერთიც ვნახოთ მის უკან კიდევ სხვა მატარებელი გამოეშვათ და პირდაპირ კინაღამ წინა მატარებელს არ დაეჯახა. ეთუოდ დაეჯახებოდნენ, რომ მაშინისტები ყოჩაღათ არ მოქცეულიყვნენ. მგზავრთა მატარებლის მაშინისტმა რამდენიმე საჟენით წინ წასწია მატარებელი, უკანა მატარებლის მემანქანემ კი რის ვაი-ვაგლახით და ძალ-დატანებით შეაჩერა მთელი მატარებელი სულ ერთ საჟენის მანძილზე. იმოდენა მგზავრებმა იგრიალეს ვაგონებიდან და ატყდა ერთი ალი-

აქოთი და ზოგსაც შიშისაგან გული შეუწუხდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში მატარებელი მშვიდობით ჩამოვიდა ტფილისში. არ ვიცით როდის მოელება ბოლო ამისთანა უწესოებას ყარსის რკინის გზაზე?

ქ. ერგნელი.

*** **ცვლილება რკინის გზაზე.** აქამდისინ კავკასიის რკინის გზაზე მატარებელი დადიოდა არა უმეტეს 37 ვერსისა, ახლა კი გამოიწერეს ისეთი ორთქლ-მატარებელი, რომელიც აკეთებს ძალიან ადვილათ სამოცდა ხუთს ვერსს. ეს ორთქლ-მატარებლები საცაა შეუდგებიან მუშაობას მთელს ჩვენს გზაზედ, რისთვისაც საჭიროთ დაინახეს მთელს გზაზედ რელსები სხვა, უფრო დიდი ზომისა, გააკეთონ, რის მუშაობასაც კიდეც შეუდგნენ.

*** **ავჭალის ავ-კარგი.** გაზეთშიაც გამოცხადებული იყო: „ზემო ავჭალის საეკკლესიო სამზრუნველომ“ დაიწყო თავისი მოქმედებაო. იმედია მკითხველი მცირეოდენ მოთმინებით ალიჭურვება და მოისმენს თუ რა იმოქმედა მან.

სამზრუნველოს საზრუნავი იყო: ა) აღმოეჩინა საშუალებანი ეკკლესიისა და სკოლისათვის შენობების ასაგებად, ბ) აერჩია ადგილი ამ შენობებისათვის და გ) მისი ზნეობრივი მოვალეობა ის იყო, აღეძრა გლეხებში სურვილი სკოლისა და ეკკლესიის დახმარებისა.

საშუალების მოპოების შესახებ ვერას ვიტყვი, რადგან სამზრუნველოს ზოგიერთნი წევრნი დარწმუნებულნი ბრძანდებიან, რომ ესა და ეს ბანკი ამდენს შეგვეწევაო, ესა და ეს დაწესებულება ამდენს გამოგვიგზავნისო და სხ. და ხომ მოგეხსენებათ რწმენას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ადგილი სკოლისა და ეკკლესიისათვის ეძებეს, ეძებეს და იპოვეს კიდეც. აბა როგორ ვერ მოძებნიდენ ისეთ ადგილს, რომელიც ზედ რკინის გზის ლიანდაგის გვერდშია ამოტკუცული; მეორე მხრიდამ კი საურმე გზა მიუდის. როგორც ჰხედავთ ასეთი გზების შუა მდებარე ადგილი ადვილი მოსაძებნია, მით უმეტეს გაზაფხულის ბრწყინვალე დღეებში, როდესაც ბუნების სიმშვენიერე სასეირნოდ იტაცებს ადამიანს. მხოლოდ საოცარი ის არის, როგორ შეამჩნიეს ისეთი პაწაწკინტელა ადგილი, როგორიც ეგ არის: განი აქვს 9 საჟენი, სიგრძე კი—20.

აი ასეთი ადგილი აარჩიეს ეკკლესიისა და სკოლისათვის.

ზრუნვაც ამას ჰქვიან! ასეთ ადგილზედ მგონი ვერც მოთავსდეს სკოლა და ეკკლესია და თუ მოთავსდა, ადვილი წარმოსადგენია თუ რა ხიფათი უნდა მოელოდეს შეგირდებს მატარებლისაგან. კიდევ კარგი თუ სკოლა ორ-კლასიანი იქნა; იმ შემთხვევაში მასწავლებელიც ორი იქნება: ერთი იმათგანი საურმე გზაზედ დადგება, მეორე რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად. პირველი ეცდება ცხენმა არ გასრისოს მოთამაშე ცელქი, მეორე კი თვალყურს ადევნებს მატარებელმა არ მოუსწრაფოს სიცოცხლე შეგირდს. ესეთი მოსალოდნელი ხიფათი, რომელიც სამზრუნველომ არ შეამჩნია (ვერ შეამჩნია რომ ვსთქვა, სამზრუნველო გაილანძღება) გლეხებმა გაითვალისწინეს და თხოვნით მიმართეს სამზრუნველოს: თუ ჩვენთვის ზრუნავ და ჩვენ გვპატრონობ, ისეთ ადგილას აგვიგე სკოლა და ეკკლესია, რომ ჩვენს ცოლ-შვილს იქ ხიფათი რამ არ მოელოდესო. რაც შეეხება იმას, რომ სამზრუნველოს უნდა აღეძრა გლეხებში სურვილი ეკკლესიისა და სკოლის მატერიალურად დახმარებისა, თითქმის ყველა წევრებმა უსაფუძვლოდ ჰპოვეს ამის შესახებ გლეხებთან საუბარი: ჩვენ ვიცით ისინი კაპიკსაც არ შეგვეწევიანო. მხოლოდ ერთი მათგანი არ დაეთანახმა სხვებს და გლეხებთან საუბრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელნი თანახმანი არიან შეეწიონ ეკკლესიის და სკოლის ასაგებათ 1000 მანეთი. დასასრულ მოვაგონებ სამზრუნველოს, დროა თავისი მოქმედების ნაყოფი გამოაჩინოს და აუგოს სოფელს ეკკლესია და სკოლა. (კარგა ხანია, რაც ზემო ავჭალაში წირვა-ლოცვა მიატოვეს უეკკლესიობის გამო).

უტუ კრიმანჭულია.

*** ახალი დანიშვნები. ტფი-
ლისის სახელოსნო სასწავლებლი
დირექტორად დანიშნულ იქმნა
ინჟინერი ოლანეზოვი.

*** პოლიცმეისტერის მასტი
კის წასვლა პოლიცმეისტერი მას
ტიცკი, რომელმაც სამსახურს თ
ვი გაანება, გუშინ ოჯახობით წა
ვიდა თავის სამშობლო ქვეყანაში
ვოლინის გუბერნიაში საცხოვრებ
ლად.

*** **დ. ანაკლია.** ათხას სუ
ლის მხსნელი. წელს, როგორ
შარშან ბლომათ დაბანაკდნენ „თ
ქორს“ ძღვის მეაბანოები. აგვი
ტოს უკანასკნელ რიცხვში ერთ
მეაბანოეთაგანი ს. ხეთის მცხოვ
რები გლეხი კ. ქირია, რომელი
ჩამოსულიყო თავისი ოჯახობი
აპირობდა დაბრუნებას სახლში
ურემი მოემზადებინა და შეესვ
მაზე თავისი წვრილი ბალღებ
ქალიანად, თვითონ კი უკან და
რჩენილიყო. უცებ ხარებმა შე
ნეს კუნტრუში და შესტოპეს მ
გომიარე ღრმა თიქორს. ცოლ
ხანს შესცურდა ურემი, მაგრ
უეცრად დასძირა მატარებლის ს
მძიმემ. შეიქნა კივილი ვინახარ
ცო დაიხრჩო კაცი. ბედად თიქ
რის მახლობლად იდგა კახათ
სოფლის მცხოვრები მიხა ჩაბა
რომელმაც გაუგონებისათანავე შ
იჭრა წყალში მისაშველებლად
გამოსტაცა შეუბრალებელ წყლ
ზვირთებს მისი მსხვერპლი სამი
ბალღი და ერთი ქალი. თუმცალა

## ორიოდე სიტყვა, მილოცვიანი ქორწინების შესახებ გურია-სამეგრელოში.

რა არის მილოცვა, რა შემთხვევაში აქვს იმას ადგილი; ან და, უკეთ, რომ ვსთქვათ, რა ადგილას შეიძლება იმის ხმარება, ეს ყველასათვის ცხადია და ამიტომაც ამაზე ლაპარაკი მეტათ და მკითხველის შეწუხებათ მიგვაჩნია. აქ ჩვენ გვსურს მხოლოდ გავაცნოთ მილოცვიანი ქორწილი იმ მკითხველ საზოგადოებას, რომლისთვინაც უცხო და უცნობი არის ზემოხსენებული ჩვეულებაი (ქორწილის) ცერემონია ანუ წეს-რიგი.

ამასთანავე გვწადიან აღვნიშნოთ აქვე, თუ რამდენათ შესცვალა იმან, წინანდელთან შედარებით, თავისი ელფერი და აგრეთვე არის ის დღეს სასურველი ჩვენი სოფლელი ხალხისათვის თუ არა? რა თქმა უნდა, ერთ უპირველეს სასიხარულო მოვლენას ადამიანის ცხოვრებაში იმათი დაქორწინება (შეერთება შეუღლება) წარმოადგენს. აი, ამ სასიხარულო მოვლენის დროს, ე. ი. დაქორწინების დღეს, ჩვენში ჩვეულება ჰქონდათ მოსოლიყო (დასწრებოდა) ყველა ის მეზობლები და მოყვრები, რომლებსაც მასპინძელი დაუძახებდა (დაიპატიჟებდა) და სიხარულის ნიშნათ მიელოცათ ახალ დაქორწინებულისათვის (საცოლოსთვის) ფულები. მოსალოცავი ფულების სიდიდ-სიცოტავე დამოკიდებული იყო, როგორც თითოეული მომლოცველის (მომსვლელის, დამსწრეს) ქონებრივ შეძლებაზე, ისე იმათ მასპინძელთან (საცოლოს ოჯახთან) ნათესაობითი სიახლოვეზე. საზოგადოთ მისალოცავი ფული, ერთი პირისაგან, ნახევარი მანეთიდან, ოცდა ხუთ მანეთამდის ადიოდა. თვითონ მილოცვა შემდეგ ცერემონიას წარმოადგენდა: როცა ახალ დაქორწინებულნი დასხდებოდნენ თავის ადგილას, მაშინ ერთი ვინმე, მასპინძლის თხოვნით, აიღებდა ხელში ახალ ტაშტს (მზითვად მონაყოლს) და დადგებოდა მეფე დედოფლის პირდაპირ, ან მახლობლად; ამ დროს თვითეულ მომსვლელ სტუმარს (წვეულს) წინდაწინ მოხამზადებული უნდა ჰქონდა ვერცხლის ფულები, რადგანაც მაშინ ჩვეულება იყო უსათუოდ ვერცხლის ფულებით მილოცვა.

შემდეგ თვითეული წვეული უნდა მისულიყო მეფე-დედოფალთან და პირადიული მილოცვისათანავე, სიხარულის ნიშნათ, უნდა ჩაერახუნებია, ჩაეყარა (თითოეულად ჩაეთვალა) მისალოცავი ფულები ტაშტში. ამ დროს ტაშტის მახლობლად იდგა მეორე პირი, რომელიც თითოეულ ჩანაგდებ ვერცხლის ფულს უთვალთვალებდა (ითვლიდა) და რომლის ვალდებულობა იყო თითოეულის მონალოცავი ფულების სიდიდ-სიპატარავე იქვე ხმამაღლათ გამოეშკარავებინა. რასაკვირველია, თითოეულის მონალოცავი ფულების ასეთი ხმამაღლა გამოაშკარავება საზოგადოებაში მხოლოდ იმ პირებისთვის იქნებოდა სასიამოვნო, რომლებსაც მეტი შეძლება ჰქონდათ და მეტის მილოცვა შეეძლოთ. ღარიბი სოფლელისათვის ასეთი ჩვეულება არა სასურველი მოვლენა იყო, რადგანაც მინალოცავი ფულების სიდიდ-სიპატარავეს გამოაშკარავება საზოგადოებაში იმათი (ღარიბების) თავმოყვარეობას ამცირებდა. რა მიზეზით იყო შემოღებული მონალოცავი ფულების ხმამაღლა თვლა ეს ჩვენ არ ვიცით; მხოლოდ ეს კი უეჭველი უნდა იყოს, რომ ასეთი თითოეულის მონატანი მისალოცავი ფულების ჩათვლა (ხმა მაღლა) ტაშტში აიძულებდა თითოეულ მათგანს მეტი მისალოცავი მოეტანა ხოლმე, რადგანაც 5—10 და ან 25 მანეთის მოლოცვის შემდეგ ათი შაურის ან და მანეთის მილოცვა ხომ მომლოცველის (მომტანის) თავის დამდაბლება იქნებოდა!.. ამ ნაირი მილოცვის მიზანი იგივე იყო, რაც წაბურვიანი ტირილის მიზანი; იმათ შორის განსხვავება ის იყო და არის, რომ მილოცვიან ქორწინში სიხარულის თანაგრძნობა იხატო და წაბურვიან ტირილში კი მწ ხარების თანაგრძნობა იხატ როცა ზემოხსენებული ფულების მილოცვა გათავდებოდა, ყველა, როგორც წვეულნი, ისე მაყრები, რიგ-რიგათ შემოუსხდებოდნენ სუფრას და დაიწყებდნენ სმა-ჭამას.

აი, ასეთი იყო მილოცვიანი ქორწინის ცერემონია; ასეთი იყო მისი დანიშნულება და მიზანი. მხოლოდ ამ უკანასკნელ დრო ცხოვრების ქამთა-ვითარებამ

წყლით ბლომათ გაბუჟულიყვნენ, მაგრამ ერთის საათის შემდეგ გონს მოვიდნენ და სიკვდილით არა უჭირთ რა.

სასურველია როგორც ერთი ოჯახის მხსნელი მ. ჩხაიას, მიექციოს ყურადღება ვისიც ჯერიყოს და წარედგინოს დასაჯილდოებლად კუთვნილებისამებრ.

ლუკა

*** **ს. ცაიში.** დღეობა. აქ იციან ყოველ 8 სექტემბერს ღვთისმშობლის დღეობა. წელსაც ჩვეულებრივად გაიმართა ჯარიანობა: მლოცველებს თან მოჰყვა აუარებელი ხალხი, მოგეხსენებათ ძველი „ადესა“ გამოსულია და ახალს—მაჭარს დაეწაფნენ, მაჭარმა კი თავისი იმოქმედა ვითარცა ნოესთან. შეზარხოშებულ ვაჟბატონებმა გასწიეს ჯარში თვალის წყლის დასალევინებლად, მაგრამ იმდენი სიამოვნება თქვენს მტერს?! იქ შემოასწრო შუშხუნამ და შეიქმნა შეურიგებელი მუშტ-კრივისა და ხანჯლის ტრიალ-ფრიალი; ძმა-ძმას სცემდა, მამა შვილს, შვილი-კი მამას და ასე გაორკეცებულ ოინს მაშინღა მოელო ბოლო, როცა მოღამდა. საზოგადოდ ჯარალამ ცუდად ჩაიარა, რადგანაც ჩვეულებრივი ცხენის ჯირითი, დაირა-ზურნის ჭყიპინი და ცეკვა-თამაში ჩაკლუმულ იყო, რომლის მიზეზი სიმთვრალე და საჯარო ადგილის უქონლობა იყო.

*** **ქ. ბათუმი.** მკითხავი ქალი. ამ ჟამად ქალაქ ბათომში ჩამოსულია ერთი ქალბატონი, რომელიც მარჩიელობს. განცხადება აქვს დაბეჭდილი და ჩუმ-ჩუმად არიგებს საზოგადოებაში. განცხადება დაახლოვებით ამ გვარის შინაარსისაა: „გამოჩენილი მკითხავი ქალი, ნასწავლი და დახელოვნებული ამ ხელობაში საზღვარ გარეთ სხვა და სხვა ქალაქებში, ვკითხულობ შესანიშნავად. ტაქსა 1 მან. 10 კაპ. ადრესი ეს და ეს“. რასაკვირველია, განცხადება ესე პირ-და-პირ არ არის გადმოწერილი, მაგრამ ამ გვარი შინაარსისაა. კითხულობს კაცის სხვა-და-სხვა სხეულებზედ დახედვით-დაკვირვებით. ამ გვარი გარემოების შემდეგ, ე. ი. როცა ამ გვარ ქალაქებში აშკარათაა მკითხაობა, ამის შემდეგ ვის რათ უნდა გაუკვირდეს, რომ სოფელში, სადაც ერთი თუ ორი პირი ჰყავს მოწინააღმდეგედ ამ გვარ მარჩიელებს, იქ მარჩიელობა სუფევდეს. ვერაფერ სიფხიზლეს იჩენენ ბათომის მოხელენი.

გურულ-მეგრელი,

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

უნივერსიტეტები გერმანიაში. უნივერსიტეტების სიმრავლით შეერთებული შტატების შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს გერმანიას. სულ გერმანიაში 50 მილიონი მცხოვრებია ხოლო უნივერსიტეტი 21. ამ უნივერსიტეტებში ირიცხება 2500 პროფესორი და 40,000 სტუდენტი. სტუდენტთა რიცხვით ყველას ბერლინის უნივერსიტეტი სჭარბობს, სადაც 11,000 სტუდენტია და 400 პროფესორი. ეს უნივერსიტეტი დაარსებულია 1809 წელს. მეორე ადგილი უჭირავს მიუნხენის უნივერსიტეტს, სადაც 4014 სტუდენტია და 186 პროფესორი. ეს უნივერსიტეტი წინად არსებობდა პატარა ქალაქ ლანდსხუტში. მიუნხენში 1826 წელს გადმოიტანეს. გერმანიის უნივერსიტეტი განთქმულია შესანიშნავის და ხელოვანის პროფესორებით. სტუდენტებს გერმანიაში ერთი კარგი ჩვეულება აქვთ, იშვიათად იქმნება სტუდენტი, რომ ერთის უნივერსიტეტის გარდა სხვაგან არ მოესმინოს ლექციები. უმეტეს ნაწილად სტუდენტები ერთის უნივერსიტეტიდგან მეორეში გადადიან და ასე სწავლის დამთავრებამდე თითქმის ყველა უნივერსიტეტს მოივლიან და ყველა შესანიშნავის პროფესორის ლექციას მოისმენენ ხოლმე. ცხოვრება სტუდენტისათვის გერმანიაში ბევრად უფრო ძვირია, ვიდრე რუსეთში, პატარა საუნივერსიტეტო ქალაქშიაც-კი სულ ცოტა 60 მან. მაინც უნდა სტუდენტს თვეში საცხოვრებლად; სწავლის ფასი კიდევ სხვაა. აქვე მოვიხსენიებთ, რომ გერმანიის უნივერსიტეტების სიმრავლით (რასაკვირველია მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით) შვეიცარიაც არ ჩამოუვარდება. შვეიცარიაში 7 უნივერსიტეტია, სადაც 4500 სტუდენტი სწავლობს.

## წვრილი ამბავი

—

ამინდის გავლენა ადამიანზე. ამას წინად ერთი ამერიკელი მეცნიერი, გვარად დექსტერი მეტად საინტერესო გამოკვლევას შესდგომია, სახელდობრ იმას, თუ ამინდს რა გავლენა აქვს ადამიანზედ. თავის გამოკვლევა დექსტერს უკვე დაუმთავრებია და დაუბეჭდია კიდეც ერთს ამერიკელს ჟურნალში შემდეგის სათაურით: „ყოფა-ქცევა და ამინდი“. დასახელებული მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს თუ ის საქციელი ყოფა-ქცევა ადამიანისა, ამა თუ იმ ამინდის შედეგია.

მეცნიერს გამოსაკვლევად შემდეგი ხერხი უხმარია. აუღია სტატისტიკური ცნობები, როგორც სხვა და სხვა დანაშაულობის აგრეთვე ამინდის შესახებ, უდარებია ეს ცნობები და დასკვნა ისე დაუდგენია. ცნობებს დექსტერი ყოველ დღე ადარებდა თურმე მთელის წლის განმავლობაში. გამოკვლევის დროს დექსტერი სასარგებლოდ ერთის მხრით სამეტეოროლოგიო სადგურების მონიშნულობით, მეორეს—პოლიციის, სასამართლოების და სასწავლებლების ანგარიშებით. დექსტერის აზრით სიცხე და ქარი კაცს აღელვებს, დანაშაულობის ჩასადენად იწვევს, ხოლო სიცივე მოღრუბლული ამინდი და წვიმა აწყნარებს, ამშვიდებს. რასაკვირველია ამინდი ყველგან ერთნაირად არ მოქმედებს ადამიანზედ. ქარი, მაგალითად, მოქმედებს და აღელვებს კაცს იქ, სადაც იგი იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, სადაც ხალხი არ შეჩვევია მას. ნიუ-იორკში ქარს გავლენა არა აქვს ადამიანზედ, რადგანაც აქ ქარი შეჩვეული ჭირია. სამაგიეროდ დენვერსა და კოლორადოში, როდესაც ქარი უბერავს, მცხოვრებთ აღელვება ეტყობათ. ქარიან დღეებში დენვერის სკოლის მოსწავლეები გაცილებით უფრო მეტად ცელქობენ, ვიდრე ჩვეულებრივ დღეში, ასეთივე ამბავი ხდება ჩრდილო ამერიკაში, ბუენოს-ჰაერესშიაც. იქ ხალხი თითქმის გიჟდება ჩრდილოეთის ქარის დროს. ქუჩებში ყველანი გაბრაზებულნი დადიან, ათასგვარი უწესობა და სისაძაგლე სწორედ ამ დროსა ხდება ხოლმე. სასამართლოში ბევრჯელ მკვლელნი თავიანთ მიერ ჩადენილ მკვლელობას ამ ქარს აბრალებენ ხოლმე. დექსტერის სიტყვით, სხვა ქვეყნებშიაც ამინდს ასეთი გავლენა აქვს ადამიანზე.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**სევასტოპოლი.** სიამის პრინცი მოვიდა აქ „ოლეგის“ ხომალდით და აქედგან პეტერბურგს წავიდა.

**კაპშტადტი.** ფოლკფუსტიდგან მიღებულ დეპეშიდგანა სჩანს, რომ გუშინ იქ სამხედრო თათბირი ყოფილა, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია გენერალ ჟუბერსა და ჯარის ყველა უფროსებს. ამ თათბირის დროს მორიგდნენ, რომ ბურები სატევ მოქმედებას არ უნდა დაადგნენ ამ ახლო ხანებში.

**ლონდონი.** გაზ. „Standard“-ის ლისსაბონელი კორესპონდენტი იუწყება დეპეშით, რომ, როგორც სარწმუნოდ შევიტყე, ინგლისი პატივცემით მოეკიდება პორტუგალიის უფლებათ დელაგოას ყურეში, ხოლო თუ რომელიმე სხვა დიდი სახელმწიფო ხელს გაიწვდის ლორენცო-მარკეზესაკენ და პორტუგალია ვერ შესძლებს იმისს წინააღმდეგობას, ინგლისი იქ მყოფ სამხედრო გემების წყალობით შეიძლებს წინააღმდეგობა გაუწიოს. თუ ვინიცობაა რაიმე სამტრო მოქმედება დაიწყო ტრანსვაალის წინააღმდეგ, პორტუგალიის ფლოტს მიეწერება ნება არ დართოს, რომ მასალა გადაჰზიდონ ტრანსვაალში პორტუგალიის მიწა-წყლიდგანათ.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინე-

---

მისმა სხვა და სხვა გვარმა მოთხოვნილებამ ამ უკანასკნელზედაც იქონია თავისი ძლიერი გავლენა და მით იმისი (მილოცვიანი ქორწინის) წინანდელი ელ-ფერი სულ ერთიანად შეარყია და შესცვალა. ამ თხუთმეტი-ოცი წლის წინად ილოცავდა მხოლოდ ის ოჯახი, რომელსაც სარძლო მოჰყავდა სახლში, ე. ი. ილოცვიდა მომყვანი, სიძე-კაცი. ეხლა კი ილოცავს ან, უკეთ, რომ ვსთქვათ, მილოცვიან ქორწინს ჰმართავს, აკეთებს, ქალის გამთხოვი ოჯახი. მაშინ ის (მილოცვა-მოყვანის დროს) ნიშნავდა სიხარულს, მილოცვას; დღეს კი იგივე (მილოცვა გათხოვის დროს) ნიშნავს შეწევას მართლაც და იმის დანიშნულება და მიზანიც ის არის, დღეს, რომ დაეხმარონ ქალის გამთხოვ ოჯახს გასათხოვის გამზითებაზედ. ოცი წლის უკან ფულებიანი ქალის მოყვანა სოფლად ხომ იშვიათი მოვლენა იყო და თუმცა რომელიმე სარძლოს ფულები მოჰყვებოდა, ამ ფულების სიდიდ-სიპატარავე 15 მანეთიდგან—50 მანეთამდის ადიოდა. ამ უკანასკნელს გადასცილდებოდა ის, იმ შემთხვევაში, თუმც შემძლე აზნაური შემძლე აზნაურს აძლევდა ქალს. დღეს კი სამზითო ფულები სოფლადვე (1004 მ.,) ასი მანეთიდგან--(5000 მ.,) ხუთასამდის ადის. ასე და ამ ნაირად, მილოცვიანმა ქორწინმა დღეს თუმცაღა ფერი იცვალა, მაგრამ სახელი კი თავისი შეირჩინა; თუმცაღა იმან მისი წინანდელი სახელი: „მილოცვა“, დღეს შეწევას ნიშნავს და ამ უკანასკნელზედ გადასცვალა, მაგრამ ის, თუმცა დაუკვირდებით, მაინც იმ ვალდებულობასვე ასრულებს მასპინძლისთვის, რასაც ასრულებდა წინად. ასეა თუ ისე, პირვანდელი და დღევანდელი მილოცვიანი ქორწინის დანიშნულებანი განირჩევიან ერთმანეთისაგან მხოლოდ გარეგანი შეხედულობით, გარეგანი ფორმით, ხოლო შინაგანი დანიშნულება და მიზანი მისი ისეთივე არის, როგორიც იყო წინად, *).

ტ. ართმელაძე

(დასასრული იქნება)

*) დღეს ფულების ჩათვლა ტაშტში აღარ იციან, ამის სამაგიეროდ, დღეს სტოლს სდგამენ თვისად, ამ სტოლთან მწერალი ზის, რომელიც სწერს თითოეული მომლოცველის გვარსა და სახელს და აგრეთვე იმათ მონალოცავ ფულებს, რომლის სიდიდ-სიპატარავე არავის არ შეუძლიან იცოდეს, გარდა მასპინძლისა, ისიც მაშინ ტყობილობს, როცა ქორწინი თავდება.

ბა და ჰბრძანა ერთის წლით გადაედოთ ვადა ჯარში გაწვევისა იმ უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლეთა, რომელნიც 1900 წელს უნდა ყოფილიყვნენ სამხედრო ბეგარის გარდასახდელად მოწვეულნი ამ წლის გაზაფხულზედ არეულობაში მონაწილეობისათვის. თუ სამოსწავლო მთავრობისაგან ჯეროვანი მოწმობა მიეცათ იმის შესახებ, რომ არავითარი დაბრკოლება არ ერის მიღებულ იქმნენ ისინი ისევე სასწავლებლებში ამა მიმდინარე წელსავე.

**პიატიგორსკი.** ანდრია ვასილის ძე პასტუხოვი, ცნობილი გამომკვლევველი კავკასიისა, რომელიც ორჯელ ავიდა იალბუზის მწვერვალზედ, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პიატიგორსკს 23 ამა სექტემბერს.

**ვილდპარკი.** იმპერატორი და იმპერატრიცა აქ მოვიდნენ სალამოს $10^1/_4$ საათზედ.

**ვენა.** სტატს-სეკრეტარი ბიულოვი მოვიდა აქა ზემმერინიდგან და სადარბაზოდ იყო გრაფ გოლუხოვსკისთან.

# განცხადებანი


## ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭროდ
## „უნივერსალნი მაღაზია“
კ. გ. ყარიბოვისა (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, საოჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

**ეს არის ახლად მიღებულია დიდძალი**

ქოლგები.
თეთრეული.
კორსეტები.
წინდები.
ჩულქები.
ფუფაიკები.
ქერსე.
პერჩატკები.
კრუჟევა რუსული და გრან.
შალები თბილი.
შარფები.
ყელსა ხვევი (ბაა).

შლიაპები.
სარტყლები.
მოსართავები.
ლენტები ყოველნაირი.
ბაღდადები.
ხელსახოცები.
ყელსახვევები.
პირბადეები.
აგრამანტები.
გამაშები.
რედიკულები.
ალბომები.

სარკეები.
ნესესერები.
პორტმონები.
სანობათო ნივთები.
საქორწილო სამკაულები.
საბავშო ტანსაცმლები.
ქალების კაბების საკაზმები.
ფანჯრის ტულეები.
ქსოვილი სუფრები.
საბნები ქსოვილები.
ბალიშის პირები.
ბამბები შალისა.
ყოველგვარი ფერისა.

კალოშები.
სამრეწველო საქონელი.
**არტურ კრუპპის ქარხნის** რკინეულობის ნაკეთობა.
**„ალპაკას“ ნახელოვნები,** სქლად მოვერცხლებული.
**სამზარეულო ჭურჭლები,** წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის.
**შუშები** ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი მაღაზიას ყოველ კვირა სულ ახალ ახალი საქონელი მოსდის. ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს.



კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით
**გაიხსნა ქალაქ ფოთში**

## „საბუხგალტერიო კურსები“

მსმენელები მიიღება ორივე სქესისა, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა გაგრძელდება ერთი წელი და ორი თვე. მთელი კურსის შესწავლა ღირს ასი მანათი.

სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდან.

კურსებზედ ასწავლიან:

1, საკომერციო არითმეტიკას შინაგან და გარეგან ვაჭრობისათვის.

2, ბუხგალტერიას მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას.

3, საკომერციო ეკონომიას.

4, სავაჭრო და სავექსილო წესდებულებას.

5, საკომერციო კორრესპონდენციას.

6, სუფთა წერას და გაკრულ ხელს.

პროგრამმის და პირობების გაგზავნა შეიძლება პირველ მოთხოვნასთანავე.

კურსების დამაარსებელი კ. მ. გიგინეიშვილი.

(10—6)



## წიგნის მაღაზია
## მიხეილ გაჩეჩილაძისა

ღ. ყვირილაში მივიღეთ ახლად რუსული და ქართული სახელმძღვანელო წიგნები სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სახმარებლად.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული დიდძალი რვეულები საუკეთესო ქაღალდზე დახაზული ქართულის და რუსული წერისათვის.

ყოველივე სამოსწავლო საგნებს ვყიდით ძ[illegible]იან დაკლებულ ფასად განსაკუთრებით იაფად უთმობთ სოფლის მასწავლებლებს.

(10—10)



## СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ
### общедоступный еженедѣльный журналъ
**Въ годъ 52 №№ журнала и 12 книжекъ библіотеки «СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ».**

Подписная цѣна: съ пересылкой и доставкой: въ годъ 5 руб., на ½ года 3 руб., За границу 8 р.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА:**

съ 1-то Августа по 1-е Января 1900 года со всѣми приложеніями—2 руб. съ пересылкой.

За всякую перемѣну адреса—50 к., можно марками.

За объявленія: за строку петита въ одинъ столбецъ по 30 коп. (три столбца на страницѣ).

**ЦѢНА ОТДѢЛЬНАГО НОМЕРА 15 КОП.**

Подписка принимается въ конторѣ журнала, С.-Петербургъ Невскій, 148.

**Въ журналѣ принимаютъ участіе:** В. А. Анзиміровъ.—И. А. Б[illegible]женовъ.—Проф. Н. И. Быстровъ.—Д-ръ В. М. Бурлаковъ.—Проф. А. Я. Данилевскій.—Проф. Б. П. Доброклонскій.—Проф. Г. А. Донбергъ.—Д-ръ А. О. Дукатъ.—Пр. доц. В. П. Жуковскій.—Проф. С. І. Залесскій.—Д-ръ М. Д. Ильинъ.—Д-ръ В. Ф. Краевскій.—Проф. П. Ф. Лесгафтъ.—Проф. Е. В. Павловъ.—Проф. В. В. Подвысоцкій (Кіевъ).—Проф. А. В. Пель.—Д-ръ В. И. Раммъ.—Проф. И. А. Сикорскій (Кіевъ).—Проф. И. П. Скворцовъ (Харьковъ).—Академикъ Князь И. Р. Тархановъ.—Д-ръ А. Н. Шабанова.—Д-ръ Б. Е. Шехтеръ и др.

**Подписка на 1899 годъ продолжается.**

Всѣ вновь подписавшіеся на 1899 годъ получатъ журналъ со всѣми безплатными приложеніями съ 1-го Ноября 1898 года по 1-е Января 1900 года, т. е. 60 нумеровъ журнала и 16 ежемѣсячныхъ безплатныхъ книжекъ.